საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/256 " 29 " დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ა. ძაბუნიძისათვის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 დეკემბრის №1/243 განკარგულებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ვასილ მშვენიერაძე, რომელიც იმავდროულად დანიშნული იყო ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ვინაიდან აღნიშნული სასამართლოს დატვირთულობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით სასამართლოში თავმჯდომარის არყოფნა უარყოფითად აისახება სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, თავმჯდომარის დანიშვნამდე თავმჯდომარის უფლებამოსილების ერთ-ერთი მოსამართლისათვის დაკისრების მიზანშეწონილობის თაობაზე. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრების მიერ. საბჭოს მდივნის მიერ წარმოდგენილ იქნა მოსამართლე ამირან ძაბუნიძის კანდიდატურა. ამირან ძაბუნიძეს აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება, კერძოდ იგი იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ამირან ძაბუნიძეს დაეკისროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2020 წლის 30 დეკემბრიდან.

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე